ქუთაისის მუნიციალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი №23

ქალაქი ქუთაისი

31 იანვარი, 2020 წელი
ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;
2. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
3. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი" თავმჯდომარე;
4. ვლადიმერ კვიტატიანი - ააიპ ინოვაციური განვითარების ფონდი ,,დრანდა";
5. თეონა გოგიშვილი - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეგიონალური კოორდინატორი;
6. ხვიჩა ვაშაყმაძე - ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი;
7. ლია გვენეტაძე - მწერალი, ჟურნალისტი;
8. ომარ კიკვიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
9. ლევან როხვაძე - თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე;
10. გიორგი ჭიჭინაძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
11. გია ცალანი - დევნილთა სათემო კავშირის უფროსი;
12. თემურ ამყოლაძე - მწერალი;
13. მამუკა თევდორაძე - ბიზნესის წარმომადგენელი
14. მაია ყუფარაძე - ჟურნალისტი;

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 22 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 14, სხვადასხვა მიზეზის გამო არ ესწრებოდა 8 წევრი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო არის გადაწყვეტილებაუნარიანი, რადგან მას სიითი შემადგენლობის უმრავლესობა ესწრება.

სხდომას უძღვებოდა: ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით სინაურიძე - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახურის უფროსი სპეციალისტი

შორენა ხუხუა - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილების უფროსი

ნოდარ ჯიქია (ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) წარადგინა დღის წესრიგი, რომლის მიხედვით წარიმართა შეხვედრა.

დღის წესრიგი

21-ე სხდომა

1. რეგისტრაცია
2. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა.
3. ,,მეწარმე ქალთა ფონდი." პროექტის შედეგების პრეზენტაცია. მომხსენებელი: მერი გელაშვილი, ფონდის დირექტორი;
4. ქუთაისის გარემოსდაცვითი სტრატეგიის პროექტის პრეზენტაცია. მომხსენებელი, დავით სინაურიძე, სამსახურის უფროსი;
5. კატასტროფების რისკების მართვის სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა. მომხსენებელი შორენა ხუხუა, სამსახურის უფროსი;
6. სხვადასხვა:
7. ნოდარ ჯიქია - სხდომის დახურვა.

1. ,,მეწარმე ქალთა ფონდი." პროექტის შედეგების პრეზენტაცია. მომხსენებელი: მერი გელაშვილი, ფონდის დირექტორი და თათა კალანდაძე, სამენტორე პროგრამის კოორდინატორი;

მეწარე ქალთა ფონდი (ქუთაისი) 2017-2020 წწ ახორციელებს პროექტს იმერეთის რეგიონში "ნაბიჯ-ნაბიჯ" უკეთესი მომავლისაკენ, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირისა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს მიერ.
პროექტს ახორციელებენ: იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა" (შიდა ქართლი, სამეგრელო) და მეწარმე ქალთა ფონდი (იმერეთი).
პროექტი ითვალისწინებს ინტეგრირებულ სწავლებას და საინტეგრაციო პროგრამებს კანონთან კონფლიქტში მყოფი პორებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის.
პროექტის განხორციელება ხდება: ,,იუსტიციის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრთან, პროექტის განმახორციელებელ ა/ო თანამშრომლობით, გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემარანდუმის საფუძველზე.
პროექტი რამდენიმე მიმართულებისაა და ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა მენტორული პროგრამის განხორციელება. პროექტის ფარგლებში სამენტორე პროგრამა

გაიარა 32-მა ადამიანმა და ისინი გახდნენ მენტორები ჩვენი კურსდამთავრებული ბენეფიციარებისათვის.
პროექტის ეს მიმართულება ჩაითვალა ერთ-ერთ წარმატებულად და დაიგეგმა მისი გაგრძელება.
მენტორები მუშაობენ თავიანთ სამენტორე პირებთან ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე და ეხმარებიან ადამიანის პიროვნული უნარ-ჩვევების გაძლიერებაში. ვინაიდან, პროექტის ეს აქტივობა გრძელდება, პროექტის შემსრულებლების მიერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, მენტორთა ქსელის გაზრდისა და მათი გაძლიერების მიზნით მივიზიდოთ სხვა მსურველები, რათა ისინი ჩაერთონ ამ მოძრაობაში.

აზრი გამოთქვე: ნოდარ ჯიქია, ინგა აბრამიძე, ნუგზარ კოხრეიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, თეონა გოგიშვილი, ხვიჩა ვაშაყმაძე, ლია გვენეტაძე, ომარ კიკვიძე, ლევან როხვაძე, გიორგი ჭიჭინაძე, გია ცალანი, თემურ ამყოლაძე, მამუკა თევდორაძე, მაია ყუფარაძე.

დადგინდა:
გაეწიოს რეკომენდაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, მასზედ რომ მეწარმე ქალთა ფონდს მისცეს წერილობითი რეკომენდაცია დონორის მიმართ და ასევე საბჭოს წევრებმა გამოხატეს ინტერესი და სურვილი ჩაერთონ სამენტორო პროგრამაში.

2. ქუთაისის გარემოსდაცვითი სტრატეგიის პროექტის პრეზენტაცია. მომხსენებელი, **დავით სინაურიძე** - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

ბატონმა დავითმა წარადგინა სტრატეგიის პროექტი, რომელშიც სრულად აისახა ექსპერტებისა და საბჭოს წევრების რეკომენდაციები. სტრატეგია განხილული იყო ექსპერტებთან ერთად, გამოიგზავნა მათი რეკომენდაციები ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. სულ ჩატარდა 2 შეხვედრა ექსპერტების მონაწილეობით. გარდა ამისა, სამსახურმა აწარმოა ინდივიდუალური კონსულტაციები ქალაქში მოღვაწე 11 ექსპერტთან, რომელთა პროფესიული ცოდნა ეხებოდა გარემოსდაცვით საკითხებს.

დადგინდა: საბჭოს წევრებმა მოიწონეს ქუთაისის გარემოსდაცვითი სტრატეგია და რეკომედაციით მიმართავენ მერს თავის მხრივ შემდეგი პროცედურა წარმართოს ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

ჩატარდა კენჭისყრა:

ესწრებოდა: 14 წევრი
მომხრე:13 წევრი
წინააღმდეგი: 0 წევრი
თავი შეიკავა: 0 წევრი
არ მიუღია კენჭისყრაში მონაწილეობა: 1 წევრი.

კატასტროფების რისკების მართვის სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა. მომხსენებელი **შორენა ხუხუა** - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილების უფროსი

შორენა ხუხუამ ისაუბრა პროექტზე "კატასტროფების რისკების მართვის შესაძლებლობების განვითარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ქალაქებში" მიმდინარე საქმიანობებზე.
ამ პერიოდის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ქალაქის სამოქმედო გეგმის შედგენა;
- ქალაქის რისკების მართვის სტრატეგიის შექმნა;
- დაინტერესებულ მხარეთა საბჭოს შექმნა;
- ქუთაისის მუნიციპალიტეტში საგანგებო სიტუაციის, რისკების პრევენციისა და შრომითი უსაფრთხოების განყოფილების შექმნა;
- ძლიერი ურთიერთობების ჩამოყალიბება ისეთ ეროვნულ ინსტიტუტებს შორის, როგორიცაა EMA და ENA.

სტრატეგიის მიზნები:

- კატასტროფების რისკების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება;
- არსებული რისკების შემცირება და ახალი რისკების პრევენცია;
- საგანგებო მზადყოფნის გაუმჯობესება;
- აღდგენისა და რეაბილიტაციის გაუმჯობესება.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, პროექტის წამყვანი ორგანიზაციაა სამხრეთ ჰოლანდიის უსაფრთხო რეგიონი. პროექტის პარტნიორები არიან: მოლდოვა (უნგენი); სომხეთი (არარატი); საქართველო (ქუთაისი).

აზრი გამოთქვე: ნოდარ ჯიქია, ინგა აბრამიძე, ნუგზარ კოხრეიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, თეონა გოგიშვილი, ხვიჩა ვაშაყმაძე, ლია გვენეტაძე, ომარ კიკვიძე, ლევან როხვაძე, გიორგი ჭიჭინაძე, გია ცალანი, თემურ ამყოლაძე, მამუკა თევდორაძე, მაია ყუფარაძე.

დადგინა: შორენა ხუხუა გაუზიარებს საბჭოს სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას, მონახზს და წევრები წერილობით წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს დოკუმენტთან დაკავშირებით.

სხვადასვა:

1. ქანდაკება "მზეჭაბუკის" ადგილსამყოფელი. - ინიცტორი ხვიჩა ვაშაყმაძე (საბჭოს წევრი).

აზრი გამოთქვე: ნოდარ ჯიქია, ინგა აბრამიძე, ნუგზარ კოხრეიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, თეონა გოგიშვილი, ხვიჩა ვაშაყმაძე, ლია გვენეტაძე, ომარ კიკვიძე, ლევან

როხვაძე, გიორგი ჭიჭინაძე, გია ცალანი, თემურ ამყოლაძე, მამუკა თევდორაძე, მაია ყუფარაძე.

დადგინდა: მერიამ მოიკვლიოს დიდების მემორიალის კომპონენტებისა და მზეჭაბუკის ქანდაკების მდებარეობის საკითხი, რადგან ის ქალაქის საკუთრებას წარმოადგენს.

2. ბაგრატის ციტადელის გამოუკვლეველი ნაწილი სასტუმროს მშენებლობისთვის. ინიციატორი, ნოდარ ჯიქია.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ინგა აბრამიძე, ნუგზარ კოხრეიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, თეონა გოგიშვილი, ხვიჩა ვაშაყმაძე, ლია გვენეტაძე, ომარ კიკვიძე, ლევან როხვაძე, გიორგი ჭიჭინაძე, გია ცალანი, თემურ ამყოლაძე, მამუკა თევდორაძე, მაია ყუფარაძე.

დადგინდა: ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ მიაწოდოს საბჭოს სრული ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

2. ზვიად გამსახურდიას ძეგლის დადგმის საკითხი. ინიციატორს არ მისვლია აქამდე პასუხი. მან შეადგინა ელექტრონული პეტიცია ზვიად გამსახურდიას ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით - ინიციატორი თეონა გოგიშვილი.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ინგა აბრამიძე, ნუგზარ კოხრეიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, თეონა გოგიშვილი, ხვიჩა ვაშაყმაძე, ლია გვენეტაძე, ომარ კიკვიძე, ლევან როხვაძე, გიორგი ჭიჭინაძე, გია ცალანი, თემურ ამყოლაძე, მამუკა თევდორაძე, მაია ყუფარაძე.

დადგინდა: ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ მიაწოდოს გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია საბჭოს და განმცხადებელს.

3. აგვისტოს ომის გმირის, ლევან კოხრეიძის სახელობის ქუჩაზე ფირნიშების განთავსება - ინიციატორი მაია ყუფარაძე, მოქალაქეების თხოვნის საფუძველზე.

დადგინდა: მიემართოს მერიის შესაბამის სამსახურს ლევან კოხრეიძის სახელობის ქუჩაზე ფირნიშების (დამისამართების) გაკეთების თაობაზე.

4. დადგინედ რით საზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობა, როცა საჯარიმო სანქციებს მიმართავს კულტურული მემკვიდრეობის ან სპეციალურ ადგილებში პოსტერების ან სხვა სახის აზრის გამომხატველი საშუალებების განთავსების თაობაზე ჯარიმებს? - ინიციატორი ნუგზარ კოხრეიძე, მოქალაქის თხოვნის საფუძველზე.

დადგინდა: მიემართოს მერიის შესაბამის სამსახურს მიაწოდოს ინფორმაცია საბჭოს, რომელი კანონის, რომელი მუხლის საფუძველზე ხდება ჯარიმების დაწესება და რომელი ტერიტორიები ექვემდებარება დაჯრიმებას, მოქალაქის თავისუფალი აზრის გამოხატვის უფლების მიუხედავად.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 24-ე სხდომა გაიმართება 28 თებერვალს 14:00 საათზე მერიის სათათბირო დარბაზში.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჯიქია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი ნუგზარ კოხრეიძე